კომიტეტის სხდომის შედეგად გათვალისწინებული შენიშვნები „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე”, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტებთან დაკავშირებით

N	შენიშვნის ავტორი	შენიშვნის შინაარსი	შენიშვნა
1.	პარლამენტის წევრი: ვახტანგ ხმალაძე	კანონის მე-2 მუხლში შესატანი ცვლილება სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან დაკავშირებით გამოიწვევს, ასევე, ცვლილებებს ამავე კანონის 38-ე მუხლის მე-11 და 13[1] პუნქტებში, რის საფუძველზეც, აღსრულების საფასურთან დაკავშირებით, იმავე შეღავათით ისარგებლებს ეს სამსახური, როგორითაც სარგებლობდა ეროვნული ბანკი დაზღვევის ბაზრის საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისას.	გაზიარებულია
2.	პარლამენტის წევრი: ვახტანგ ხმალაძე	შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21[1]-ე მუხლის პირველ პუნქტში შესატან ცვლილებასთან ერთად, ცვლილებები შევიდეს 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტსა და 21[1]-ე მუხლის მეხუთე პუნქტში.	გაზიარებულია
3.	იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატი	კანონპროექტში გასწორდა რედაქციული ხასიათის შეცდომები.	გაზიარებულია